



# ჯანდაცვის საკითხები/სტრატეგია გზმ-ს პროცესში

---

დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის  
პროექტის ფარგლებში

ჯანდაცვის საკითხები/სტრატეგია გზმ-ს  
პროცესში

## Table of Contents

<i>წინასიტყვაობა</i> .....	2
<i>არსებული მდგომარეობა</i> .....	2
<i>გარემოს ზემოქმედების შეფასება და ჯანმრთელობა</i> .....	5
მოსახლეობის და ადამიანის ჯანმრთელობის განსაზღვრა გარემოს ზემოქმედების შეფასებაში.....	8
გარემოს ზემოქმედების შეფასება და ჯანმრთელობის ზემოქმედების შეფასებას შორის ურთიერთქმედება .....	8
მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის განხილვისას გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები.....	9
რელევანტური კვლევის იდენტიფიცირება, ინტერპრეტირება და გამოყენება, როდესაც გარემოს ზემოქმედების შეფასებაში გათვალისწინებულია მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობა .....	10
გარემოს ზემოქმედების შეფასების მნიშვნელოვანი შედეგები მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის .....	11
მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის შეფასების ჩატარების აუცილებელი კომპეტენციები .....	11
გარემოს ზემოქმედების შეფასებაში საქმიანობით გამოწვეული რისკები მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	12
გარემოს ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვით ნებართვების კავშირი და ურთიერთქმედება .....	12
<i>საერთაშორისო რეკომენდაციები</i> .....	12
<i>გარემოს ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება</i> .....	13
<i>ძირეული გამოწვევები</i> .....	16
<i>მომავლის ხედვა</i> .....	16
<i>სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები</i> .....	17
<i>სტრატეგიული პრიორიტეტები</i> .....	18
<i>გამოყენებული ლიტერატურა</i> .....	18

## წინასიტყვაობა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გარემო ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ჯანმრთელობაზე, ყოველწლიურად 1.4 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზს წარმოადგენს ევროპის რეგიონში. გარემო ფაქტორების მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე დაკავშირებულია არაგადამდებ დაავადებებთან, შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევებსა და არაგანზრახ დაზიანებებთან, რასაც თან ახლავს არსებული და ახალი ტიპის გადამდებ დაავადებებზე კლიმატის ცვლილებითა და ბიომრავალფეროვნების განადგურებით განპირობებულ ზემოქმედებასა და უარყოფით რეპროდუქტიულ შედეგებთან დაკავშირებული მზარდი პრობლემა. არსებული და განვითარებადი გამონვევების მომატება მოითხოვს დამატებით ძლიერი ერთობლივი ქმედებების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და გარემოს დაბინძურება, კლიმატის ცვლილება, მავნე ქიმიკატები და ეკოსისტემების დესტაბილიზაცია საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობის უფლებას, არაპროპორციულად აისახება სოციალურად დაუცველ და მოსახლეობის მონყვლად ჯგუფებზე, რითაც აღრმავებს უთანასწორობას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაანგარიშებით (WHO 2012), საქართველოში მთლიანი ავადობის ტვირთის 21%, ხოლო სიკვდილიანობის 25% განპირობებულია გარემოს საზიანო ზემოქმედებით, რომელთა აცილება შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ ეს მიახლოებითი მაჩვენებელია, ვინაიდან მრავალი დაავადებისთვის მტკიცებულებები ჯერ კიდევ სუსტია. საქართველოში სიკვდილიანობის 97% გამონვეულია არაგადამდები დაავადებებით და მალალია გარემოსთან ასოცირებული გულ-სისხძარღვთა, ფილტვისა და სხვა ლოკალიზაციის კიბოს, ასთმისა და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების ტვირთი.

## არსებული მდგომარეობა

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ეს არის შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. დღეისათვის საკანონმდებლო ბაზა ამ მხრივ სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო დონეზე განსაზღვრულ მოთხოვნებს. რასაც ვერ ვიტყვით ტექნოგენურად შეცვლილი/დაბინძურებული გარემოს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი და სხვა) ადამიანის ორგანიზმზე მავნე მოქმედებების დღევანდელ და შორეული შედეგების შესახებ. კერძოდ, დღეისათვის

საქართველოში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უმეტეს წილად არ ხდება ადამიანის ორგანიზმზე გარემო ფაქტორების მავნე ზემოქმედების შესწავლა, რაც გარემოს ზემოქმედების შეფასების შესრულების პარალელურ რეჟიმში უნდა მიმდინარეობდეს.

უფრო მეტიც, დღეს საქართველოში ურბანული პროცესები ქაოსურად მიმდინარეობს. კერძოდ არ ხდება მშენებლობებისათვის გამოყოფილი ფართობების სრულყოფილი, აუცილებელი შესწავლა; მშენებლობის დაწყებამდე არ ხდება ნიადაგის სათანადო სანიტარიულ-ქიმიური და სანიტარიულ ტექნიკური გამოკვლევები; არ მიმდინარეობს გრუნტის წყლების დგომის შესწავლა, ამის შედეგად ხშირად ხდება ახალაშენებული შენობების სიმყარის დარღვევა, გადახრა, გადაწოლა, რაც თავისთავად დიდ საფრთხეს უქმნის არამარტო ამ შენობებში მცხოვრებ მოსახლეობას, არამედ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მრავალფეროვან ინფრასტრუქტურას.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი ძველ, ძირძველ თბილისურ, პრესტიჟულ უბნებში (ვაკე, ვერა, საბურთალო და ა.შ), სადაც ამ ბოლო წლებში 2-3 სართულიანი საცხოვრებელი სახლების ადგილზე მრავალსართულიანი ბინათმშენებლობების ინტენსიური წარმოება მიმდინარეობს. მდგომარეობას ხშირად ამძიმებს ისიც, რომ სრულიად დარღვეულია სანიტარული ნორმები შენობებს შორის მანძილის მკაცრად დაცვის შესახებ. ეს იწვევს და შემდგომში კიდევ უფრო მეტად გამოიწვევს შენობებში ინსოლაციური რეჟიმის დარღვევას, ჰაერის განიავებისა და საერთოდ, ეპიდსიტუაციის დამძიმებას: ასეთ შენობებში მცხოვრებ ადამიანებს ექნებათ დიდი რისკები იმუნობიოლოგიური სტატუსის დაქვეითების ფონზე განუვითარდათ არა მარტო ინფექციური, არამედ არაინფექციური დაავადებები, მათ შორის სასუნთქი გზების დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ცნს-ის დაავადებები, ავთვისებიანი დაავადებები. ვინაიდან გარემოში არსებობს ისეთი დამაბინძურებლების რეალური არსებობის საშიშროება, როგორცაა მტვერი, ხმაური, ელექტრო-მაგნიტური ველები, მძიმე მეტალები, მხუთავი აირი, ნახშირორჟანგი, ნახშირწყალბადები, ჭვარტლი, ამოტისა და გოგირდის ჟანგულები, ბაქტერიები, ვირუსები და ა.შ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ძველი შენობების დემონტაჟი, როგორც წესი მიმდინარეობს სანიტარიული წესების უგულვებელყოფით - არ არის გამოყენებული ნგრევისას სველი წესი, ბადეები და სხვა. ამის გამო იქმნება რისკი ატმოსფერულ ჰაერში ამბესტისა და ტყვიის ნაწილაკების გაფრქვევისა, რაც კიდევ უფრო შეუძლებელს ხდის ასეთ უბნებში მოსახლეობის არსებობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნისა და ჯანმრთელობის რისკების აღმოფხვრის თვალსაზრისით.

2017 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი 890-III „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან

კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე. ამ კოდექსის რეგულირების სფეროს განეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურები.

კოდექსის მიზნებს წარმოადგენს:

ა) ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე;

ბ) ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის დროულად მიღების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების რეალიზაცია, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა;

გ) სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაბომიერი გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე;

დ) გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის განხორციელებისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა.

2. ამ კოდექსის ამოცანებია:

ა) განსაზღვროს საქმიანობის განმახორციელებლის, დამგეგმავი ორგანოს, საზოგადოებისა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების უფლებები და მოვალეობები ამ კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

ბ) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების ყველა შესაძლო შედეგის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რათა გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და მატერიალურ ფასეულობებზე უარყოფითი ზემოქმედება მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული, შემცირებული ან შერბილებული;

გ) განსაზღვროს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები.

## გარემოს ზემოქმედების შეფასება და ჯანმრთელობა

გარემოს მავნე ზემოქმედების შეფასება ჯანმრთელობაზე (ჯგმზ) - ის ფორმალური პროცესია, რომელიც გამოიყენება გარემოს გავლენის (პოზიტიურისა და ნეგატიურის) შედეგების შესაფასებლად გეგმის, პოლიტიკის, პროგრამის ან პროექტის დონეზე.

ეკონომიკური სექტორები, როგორცაა ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და ბინათმშენებლობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, მაგ. ტრანსპორტი - ჰაერის დაბინძურების, ხმაურის და ტრავმატიზმის ძირითადი ფაქტორია, მაგრამ „ჯანსაღი ტრანსპორტის პოლიტიკას“ შეუძლია შეამციროს რისკები და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ქცევის ნებსების შეცვლასა და ფეხით და ველოსიპედით სიარულის დამკვიდრებას ყოველდღიურ პრაქტიკაში.

გარემოს მავნე ზემოქმედების შეფასება ჯანმრთელობაზე - მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინსტრუმენტია, რაც საშუალებას იძლევა უკეთ იქნეს აღქმული და გაგებული კავშირი ჯანმრთელობასა და სხვა სექტორებს შორის. ეს ინსტრუმენტი ეხმარება გადაწყვეტილებების მიღებას, რომ გააკეთონ სწორი ალტერნატიული არჩევანი და განახორციელონ ეფექტური ღონისძიებები, რათა შემცირდეს დაავადებათა და დაზიანებათა რიცხვი და ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის დაცვას. ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების შეფასება ასევე იძლევა პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას ადგილობრივიდან გლობალურ დონემდე.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) და გარემოს ზემოქმედების შეფასება (გზშ) - ორივე წარმოადგენს პრევენციული გარემოსდაცვითი პოლიტიკის პროცედურულ ინსტრუმენტს და შესაბამისად, აქვთ მსგავსი მიზნები. ორივე ინსტრუმენტმა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის საფუძვლის შექმნა, რაც ნიშნავს იმას, რომ სგშ/გზშ-ს შედეგები და დასკვნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისა და პროექტებისა თუ კონკრეტული საქმიანობების დამტკიცების დროს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ორივე - სგშ და გზშ უნდა ჩატარდეს გადაწყვეტილების მიღებამდე.



გარემოს ზემოქმედების შეფასება მიმართულია იმ პროექტებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ გარემოზე. იგი მიზნად ისახავს, რომ პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების გამცემი ორგანო, სრულად უნდა იცოს ინფორმირებული პროექტის განხორციელების შედეგად გამონვეულ გარემოს ზემოქმედებაზე. გარემოსდაცვითი განცხადება, კანონის შესაბამისად, უნდა მოიცავდეს თითოეული ინდივიდუალური საქმიანობის აღწერასა და შეფასებას, პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების თაობაზე შემდეგ ფაქტორებზე:

- ა) მოსახლეობა და ადამიანის ჯანმრთელობა;
- ბ) ბიომრავალფეროვნება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობისსახეობასა და სამოსახლო ადგილს;
- გ) ნიადაგი, წყალი, ჰაერი და კლიმატი;
- დ) მატერიალური აქტივები, კულტურული მემკვიდრეობა და ლანდშაფტი;
- ე) ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის ურთიერთქმედება.

გარემოსდაცვითი განცხადება ასევე უნდა მოიცავდეს, მსხვილი ავარიების და/ან სტიქიური უბედურებების დაუცველობის რისკებს, თუ აღნიშნული დაკავშირებულია განსახორციელებელ საქმიანობასთან.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა გარემოსდაცვითი განცხადება, პროექტის შემუშავების ადრეულ ეტაპზე უნდა მოიცავდეს ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გუნდები, პროექტის დამგეგმავებთან ერთად შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ, თუ როდის და როგორ გამოიყენებენ ჯანდაცვის გამოცდილებას, გარემოს ზემოქმედების შეფასების დაგეგმვისას. ადრეული ჩართულობა და თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებას და ფოკუსირებას.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ხორციელდება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტებისათვის, როგორცაა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მომზადებული გეგმები, პროგრამები ან სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტები. კერძოდ, სგმ აფასებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებზე, მის მოსალოდნელ გავლენას ხანგრძლივადიან ტენდენციებზე, სტრატეგიული დოკუმენტის კუმულაციურ ზემოქმედებას და სხვა.

სგმ-სა და გგმ-ს კავშირებზე საუბრის დროს, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმას, რომ სგმ „არ აყენებს ზიანს“ გგმ-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც თუ სგმ დადგენს, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში მითითებული საქმიანობები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებებს გარემოსა ან ჯანმრთელობაზე, გგმ-ს მაინც შეუძლია მათი გამოვლენა.

სტრატეგიული დოკუმენტის შედგენისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმაზეც, რომ თბილისის თავისი მდებარეობით ქვაბურია და აქ ისედაც გაძნელებულია ატმოსფერული ჰაერის ბუნებრივი გზით განიავება და ამიტომ

რისკები დაბინძურებისა, გაცილებით დიდია. ამას ადასტურებს საერთაშორისო ღონის გამოკვლევებიც, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისი, ამ მხრივ ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ქალაქს წარმოადგენს. ამ მხრივ არც სხვა ქალაქებშია უკეთესი მდგომარეობა. გარემოს ზემოქმედების შეფასების შედეგისას ხშირად არ არის განსაზღვრული და გათვალისწინებული ჯანმრთელობის რისკები პროფესიული მავნებლების ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების შედეგად პროფესიული დაავადებების განვითარების მხრივ. ეს ეხება სამთო-მადნო მრეწველობის მცირე და საშუალო სიმძლავრის ობიექტების გზმ-ეებსა და დიდი ობიექტების გზმ-ეებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია წვრილი გადამამუშავებელი საწარმოები (ჭიათურა, ზესტაფონი) და მცირე სიმძლავრის სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმოები თითქმის ყველა ქალაქში და მათ შორის თბილისშიც (ელიავას ბაზრობა, დიდუბის ტერიტორიაზე არსებული მცირე საწარმოები და სხვა).

სტრატეგიული დოკუმენტის შედგენისას ყურადსაღებია ისიც, რომ საქართველოში ფაქტიურად არ ხდება ჩამდინარე წყლების განმწმენდა. ამის გამო ბინძურდება მდინარეები, ტბები, შავი ზღვა, წყალსაცავები, არამართო მყარი ნარჩენებითა და საყოფაცხოვრებო გადანაყრებით, არამედ ქიმიური და ბიოლოგიური დამაბინძურებლებით. როდესაც იქმნება ამ მიმართულებით გზმ, ხშირად არ არის განსაზღვრული (ან არ სრულდება) მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკები. კიდევ უფრო საშიშია მდინარე მტკვრისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურება საკანალიზაციო სისტემებიდან ჩამდინარე წყლების პირდაპირ განმწმენდის გარეშე ჩაშვება სარეკრეაციო ზოლში.

და ბოლოს, სტრატეგიული დოკუმენტის შედგენისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ქვეყანაში ნიადაგის დაბინძურების მოსალოდნელი შედეგები არასწორად შედგენილი გზმ-სა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებისას. რაც გულისხმობს ნიადაგის დაბინძურებას როგორც მძიმე მეტალებით, ისე პესტიციდებითა და სასუქებით და რაც მთავარია მეფრინველეობისა და მესაქონლეობის ფერმების გზმ-ს არასათანადო დაცვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების შეფასების არ არსებობის გამო.

**დასკვნა:** ამრიგად, საჭიროა ქვეყანაში ამოქმედდეს სათანადო სამსახურები, რომლებიც განახორციელებენ სათანადო მონიტორინგს, ზედამხედველობას და კონტროლს გარემოზე, ზემოქმედების შეფასებისას მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების გათვალისწინებისა და დაავადებათა პრევენციისათვის საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით.

გარემოს ზემოქმედების შეფასების იმპლემენტაციას თან სდევს შესაბამისი გამოწვევები და შესაძლებლობები, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალებისათვის, ასევე გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესისათვის.



## მოსახლეობის და ადამიანის ჯანმრთელობის განსაზღვრა გარემოს ზემოქმედების შეფასებაში

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯანმრთელობა განისაზღვრება როგორც სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა დაავადების ან რაიმე გადახრის არ არსებობა. აღნიშნულ განსაზღვრებას საფუძვლად უდევს „ჯანმრთელობის ფართო სპექტრის დეტერმინანტების“ მოდელი, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ. ცნობილია, რომ საზოგადოების და ადამიანის ჯანმრთელობა მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვა განსაზღვრულია როგორც ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის და ხელშეწყობის მეცნიერება და ხელოვნება, რომელიც პრევენციას უწევს დაავადებას და ახანგრძლივებს სიცოცხლეს დაგეგმილი საზოგადოებრივი ღონისძიებების შედეგად. აღნიშნული მოიცავს 3 პრაქტიკულ სფეროს, როგორებიცაა:

- ჯანმრთელობის დაცვა;
- ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
- სერვისების გაუმჯობესება.

აღნიშნული სფეროებიდან ჩატარებული ექსპერტიზები გარემოს ზემოქმედების შეფასების შესაბამისი იქნება.

ჯანმრთელობაზე ზეგავლენის განხილვისას ძირითადი ყურადღება ენიჭება ბიოფიზიკურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს უარყოფით ზეგავლენაზე, მაგალითად, ნყლის და ჰაერის ხარისხი. აღნიშნული ფოკუსი და შესაბამისი ყურადღება ჯანმრთელობის დაცვაზე მნიშვნელოვან და მდგრად შენატანს წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის.

**შესაძლებლობა:** საზოგადოებრივი ჯანდაცვა, როგორც სპეციალობა, თამაშობს მნიშვნელოვან როლს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესში.

## გარემოს ზემოქმედების შეფასება და ჯანმრთელობის ზემოქმედების შეფასებას შორის ურთიერთქმედება

ჯანმრთელობის ზემოქმედების შეფასება და გარემოს ზემოქმედების შეფასება განცალკევებული პროცესებია. ჯანმრთელობის ზემოქმედების შეფასება განისაზღვრება როგორც პროცედურების, მეთოდების და ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომლებიც სისტემატურად აფასებენ პოლიტიკის, გეგმების, პროგრამების ან პროექტების პოტენციურ და გაუთვალისწინებელ შედეგებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ასევე ამ შედეგების გადანაწილებაზე

მოსახლეობაში. ჯანმრთელობის ზემოქმედების შეფასება განსაზღვრავს შესაბამის ქმედებებს აღნიშნული შედეგების სამართავად.

გარემოს ზემოქმედების შეფასების რეგულაციები ადგენს პროცედურებს გარემოს ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული პროექტების იდენტიფიცირებისათვის, შეფასებისთვის, კონსულტაციისათვის და აღნიშნულ პროექტებზე გადანყვეტილების მიღებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ გარემოზე. გარემოს ზემოქმედების შეფასება მოიცავს ჯანდაცვის ზოგიერთ ასპექტს. მაგალითად, გარემოს ზემოქმედების შეფასება განიხილვას ადამიანის რეცეპტორებს ჰაერის და წყლის ხარისხის და ხმაურის ან განათების შეფერხების მიმართ. გარდა აღნიშნულისა, გარემოს ზემოქმედების შეფასების სოციო-ეკონომიკური ხასიათი ტიპურად მოიცავს საზოგადოებრივ სერვისებზე (ჯანდაცვის სერვისების ჩათვლით), განათლებასა და დასაქმებაზე ზეგავლენას.

**გამოწვევა:** არაპროპორციული ტვირთი შეიძლება განაწილდეს დეველოპერებზე, იმ შემთხვევაში თუ ჯანმრთელობის ზემოქმედების შეფასება გამოიყენება როგორც მარიონეტული ინსტრუმენტი მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის განხილვის პროცესში.

### მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის განხილვისას გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები

გარემოს ზემოქმედების შეფასების საბოლოო ანალიზის შედეგად მოსალოდნელია, მაგალითად, ჰაერის ხარისხის და ხმაურის დონის ცვლილებები. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსპექტივიდან, ეს ცვლილებები შეეხება ჯანმრთელობის დეტერმინანტებს და არა ჯანმრთელობის გამოსავალს. მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი გავლენის განხილვა მოითხოვს განცხადებას, იმის შესახებ თუ რომელი ცვლილების გამოვლენა არის მოსალოდნელი, მაგალითად, რესპირატორული ჯანმრთელობის ან ფსიქიკური კეთილდღეობის შეცვლა. მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს ზემოქმედების შეფასების საბოლოო ანალიზმა უნდა აღწეროს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პროგნოზირებული გამოსავალი. ეს ნამოწვევს ატრიბუციის საკითხს, ანუ ჯანმრთელობის გამოსავალი მომავალ პოპულაციაში თუ როგორ გავლენას მოახდენს შემოთავაზებული განვითარების შედეგად.

**გამოწვევა:** ჯანმრთელობის გამოსავალზე დასკვნის მიღების მოთხოვნებს აქვს გავლენა გარემოს ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიასა და ამ შეფასების ტექნიკურ მახასიათებლებზე.

რელევანტური კვლევის იდენტიფიცირება, ინტერპრეტირება და გამოყენება, როდესაც გარემოს ზემოქმედების შეფასებაში გათვალისწინებულია მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობა

გარემოს ზემოქმედების შეფასებაში მნიშვნელოვანია კვლევის მტკიცებულების ხასიათი და ხარისხი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს გარემოს ზემოქმედების შეფასების მნიშვნელობის შედეგებზე კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში.

სიტყვა „მტკიცებულება“ სხვადასხვა სექტორების მიერ განისაზღვრება სხვადასხვა მნიშვნელობით, მაგალითად, დამგეგმავებისთვის სიტყვა მტკიცებულება ეხება დაგეგმვის პოლიტიკას ან რუტინულ სტატისტიკას, მაშინ როცა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის აღნიშნული უპირატესად მომდინარეობს გამოქვეყნებული აკადემიური ლიტერატურიდან. არსებობს ჯანდაცვის მტკიცებულების სხვადასხვა ტიპები და გამოყენებითობა. სხვადასხვა ტიპები მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის აკადემიურ ლიტერატურას, განვითარებად, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ კვლევას, ექსპერტის მოსაზრებას, ოფიციალურ სამეცნიერო სახელმძღვანელოს და ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა ლიტერატურა, რომელიც ეხება მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობას.

ზემოქმედების შეფასება მიზნად ისახავს რომ მიღწეულ იქნას ობიექტური, სარწმუნო და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნები კონკრეტული პროექტის შესაძლო შედეგებზე.

როგორც იქნა აღნიშნული მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს: სამეცნიერო ლიტერატურას, კონსულტაციით რეაგირებას, ექსპერტის მოსაზრებას, განვითარებად, მაგრამ გამოუქვეყნებელ მტკიცებულებას, საბაზისო მონაცემებს, ადგილობრივ ჯანდაცვის პრიორიტეტებს, პოლიტიკის კონტექსტს და რეგულაციურ სტანდარტებს. სამეცნიერო ლიტერატურა (აკადემიური საზოგადოებრივი ჯანდაცვის მტკიცებულებებთან ერთად) მკაცრი მეთოდების გამოყენებით ყველა კონტექსტში არ ფარავს ყველა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ან ინტერვენციას. ამრიგად, მაშინ როცა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანალიზი დაფუძნებულია ყველაზე შესაძლო ძლიერ მტკიცებულებაზე, იგი ითხოვს პრაგმატულ და კონსერვატიულ დაფუძნებულ მიდგომას, როდესაც მტკიცებულებების ბაზა არ არის სრულყოფილი.

**გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჯანდაცვის საუკეთესო აკადემიური მტკიცებულება აძლიერებს გარემოს ზემოქმედების შეფასებას. თუმცა, იმის მოლოდინი, რომ გარემოს ზემოქმედების შეფასებაში მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის საკითხები გამყარებული იქნება საუკეთესო ხარისხის აკადემიური მტკიცებულებებით, რეალისტური არ არის.

## გარემოს ზემოქმედების შეფასების მნიშვნელოვანი შედეგები მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის

ზეგავლენის შეფასებაში, ეფექტის მნიშვნელობა, როგორც წესი ექსპერტ-პროფესიონალების განხილვასა და გადანყვეტილებებზე, რომლებიც დაფუძნებულია მტკიცებულებებსა და პრაქტიკულ გაიდლაინებზე. ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციური ეფექტის მნიშვნელობის თაობაზე გადანყვეტილების მიღება, არ ნიშნავს რომ ეფექტის მნიშვნელობა სტატისტიკურად იყოს დადასტურებული, რადგან ეს არის განხილვა და მკვლევარმა (შემფასებელმა) უნდა უზრუნველყოს კონსესუსის მიღწევა კონსულტანტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელობა გარემოს ზემოქმედების შეფასებაში, უნდა მოიცავდეს პროფესიულ განხილვას (განაჩენს), რომელიც დამყარებულია მტკიცებულებებზე, მაგალითად ისეთ საკითხებზე როგორებიცაა „მნიშვნელობა“ და „მიმდებლიანობა“. გარემოს ზემოქმედების შეფასებაში მოყვანილი მტკიცებულებები როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უნდა მოიცავდეს: სამეცნიერო ლიტერატურას, კონსულტანტების პასუხებს, არსებულ საბაზისო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, ადგილობრივი ჯანდაცვის პრიორიტეტები და რეგულირების სტანდარტები.

**გამოწვევა:** ინფორმირებული გაიდლაინის არარსებობის შემთხვევაში, გარემოს ზემოქმედების შეფასების პრაქტიკა, ჯანდაცვის შედეგების მნიშვნელობის განსაზღვრის მიმართულებით სავარაუდოდ იქნება არათანმიმდევრული როგორც ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების შეფასებისა, და ასევე შემცირების კუთხით.

## მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის შეფასების ჩატარების აუცილებელი კომპეტენციები

საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ დეველოპერების შეფასება და გარემოსდაცვითი განცხადების მომზადება, უნდა განახორციელოს კომპეტენტურმა ექსპერტებმა. აუცილებელია, რომ განსაზღვრული იყოს ტექნიკური კომპეტენციები და მათი უზრუნველყოფის საშუალებები.

**შესაძლებლობა:** ეს არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკოსების სახელმძღვანელო სტანდარტები და გარემოს ზემოქმედების შეფასების პროფესიონალებმა ასევე უნდა იცოდნენ ორივე მიმართულება: აღნიშნული პრაქტიკოსების პროცესში ჩართვის შესაძლებლობები და პროცესში ამ რესურსის შენატანების პოტენციური შეზღუდვები, არსებული მოთხოვნების და ვალდებულების შესაბამისად.

## გარემოს ზემოქმედების შეფასებაში საქმიანობით გამოწვეული რისკები მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე

დოკუმენტის მომზადების პროცესში, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის სხვა დაინტერესებული მხარეები არ მონაწილეობენ გარემოს ზემოქმედების შეფასებაში და საჭიროებისამებრ აუცილებლად უნდა მოიძიონ დრო და რესურსი ამ ქმედებებისთვის. ჩვეული საქმიანობის დროს მოსახლეობისა და ადამიანის ჯანმრთელობის მოცვა გარემოს ზემოქმედების შეფასებაში ქმნის რისკს რომ აღნიშნულ შეფასებაში ვითარდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხრიდან უმნიშვნელო შენატანის პრაქტიკა. ეს თავის მხრივ აყენებს რისკს, რომ აღნიშნული პრაქტიკა ვითარდება და ითვლება ტექნიკურად თავსებადად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მონაწილეობისა და გამოწვევების გარეშე.

**გამოწვევა:** საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გამოძებნონ დრო და რესურსები, რომ მონაწილეობა მიიღონ გარემოს ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის დანერგვაში და თავად გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესში.

**გამოწვევა:** პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი გავლენა და შესაძლებლობები შესაძლებელია არ იქნეს აღიარებული და გათვალისწინებული ნებართვის გამცემი ავტორიტეტის მიერ.

## გარემოს ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვით ნებართვების კავშირი და ურთიერთქმედება

**შესაძლებლობა:** გარემოს ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვითი ნებართვის საკითხების გადაფარვა შესაძლებელს ხდის გაკეთდეს მნიშვნელოვანი ეკონომია, სრული ინფორმაციის გამოყენების გზით ორივე პროცესში და უზრუნველყოფს თანმიმდევრულობისა და შედეგების გაუმჯობესებას.

## საერთაშორისო რეკომენდაციები

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2018 წლის სპეციალური ანგარიშის „ჯანმრთელობა და კლიმატის ცვლილებები“-ს მიხედვით მონოდებულია შემდეგი რეკომენდაციები:



- ნახშირბადის გამონაბოლქვისა და ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით ქმედებების იდენტიფიცირება და ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირებისა და შერბილების ინდიკატორების შეტანა ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის დიზაინში, რომელიც ასევე მოიცავს ნახშირბადის ფასის დადგენასა და ნიაღისეული საწვავის სუბსიდების რეფორმას;
- ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვალდებულებების აღება, რომლებიც გათვალისწინებულია გაეროს ჩარჩო კონვენციაში კლიმატის ცვლილების შესახებ (UN-FCCC) და პარიზის შეთანხმებაში;
- კლიმატის ცვლილებისადმი ჯანმრთელობის ადაპტაციის ინვესტიციებში არსებული ბარიერების აღმოფხვრა, განსაკუთრებით კლიმატურად სტაბილური ჯანმრთელობის სისტემებისა და „climate-smart“ ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის;
- ჯანდაცვის საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, როგორც სანდო, მოკავშირე და კლიმატის ცვლილებების ერთგული დამცველები;
- ქალაქის თვითმმართველობებისა და მუნიციპალიტეტების ლიდერების მობილიზება, როგორც ინტერსექტორალური თანამშრომლობის მაგალითი, რომ უზრუნველყონ ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირება, გაზარდონ მდგრადობა და ხელი შეუწყონ ჯანმრთელობას;
- სისტემატურად განხორციელდეს კლიმატის ცვლილებების შერბილებისა და ადაპტაციის შედეგად მიღწეული ჯანმრთელობის მდგომარეობის პროგრესი, რომლის ანგარიში მომზადდება კლიმატის ცვლილებაზე UN ჩარჩო კონვენციის, გლობალური ჯანდაცვის მართვის პროცესების და მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

## გარემოს ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება

ეფექტური გარემოს ზემოქმედების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი 5 ძირითადი რეკომენდაცია:

1. მკაფიო კანონმდებლობა, რომელიც გამყარებული იქნება კანონქვემდებარე აქტებით, პოლიტიკით და მხარდაჭერილი იქნება შესაბამისი რესურსებით

ეფექტური გარემოს შეფასების პროცესი დაფუძნებული უნდა იყოს იმ კანონმდებლობასა და რეგულაციებზე, რომელიც ხაზს უსვამს შემდეგ ფაქტორებს:

- შესაბამისი სამისნიტროების და სააგენტოების როლი, ავტორიტეტი და უფლებამოსილებები;
- მინის/რესურსის მფლობელის, ადგილობრივი საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირების როლი და უფლებამოსილებები;



- სტანდარტი რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესებს, განსაკუთრებით გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშების მომზადების ნაწილში;
- დროში განერილი გეგმები, რომლებიც დაცულნი უნდა იყვნენ გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესის ყველა დონეზე, რომელიც მოიცავს სკრინინგს, სკოპინგს და გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვას, რაც უზრუნველყოფს გარემოს ზემოქმედების შეფასების გადანყვეტილებას დროში განერილი გეგმის მიხედვით;
- არ შესრულების შემთხვევაში, იძულებითი შესრულებისა და ჯარიმების დაკისრების მექანიზმების შემუშავება.

2. ძლიერი, კარგად დაკოორდინირებული გარემოს ზემოქმედების შეფასების ადმინისტრატორი

ეფექტური გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესი დამოკიდებულია გარემოს ზემოქმედების შეფასების ადმინისტრატორზე, რომელსაც უნდა გააჩნდეს ძლიერი მიმართულება, მკაფიო ავტორიტეტი და როლებისა და უფლებამოსილებების მკაფიო გაგება. გარემოს ზემოქმედების შეფასების ადმინისტრატორი ასევე უნდა ფლობდეს ძალიან კარგ საკომუნიკაციო ქსელს შესაბამის სამთავრობო უწყებებთან/სააგენტოებთან, რეგიონალურ ორგანიზაციებთან და გარე ექსპერტებსა და კონსულტანტებთან. აღნიშნული საკომუნიკაციო ქსელები მნიშვნელოვანია ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად, რაც ხელს შეუწყობს კომპლექსური, ფართომასშტაბიანი, მაღალტექნოლოგიური და ნოვაციური პროექტების შეფასებას.

3. ადგილობრივი საზოგადოების, მინის/რესურსის მფლობელის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხასიათი და სიხშირე უნდა ასახვდეს პროექტის რისკის დონეს და მის მოსალოდნელ ზემოქმედებას. იგი უნდა იყოს შემუშავებული იმისათვის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს გადანყვეტილებების მირების პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე. დაინტერესებულ მხარეთა ეფექტური ჩართულობა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ 4 მიზანს:

- დაინტერესებულ მხარეებს გააცნონ პროექტის დამტკიცებისა და დაგეგმვის პროცესი;
- დაინტერესებული მხარეებისგან მიიღონ ინფორმაცია პროექტის პოტენციური ზემოქმედების თაონაზე, იქნება ეს შეგრძნებადი თუ ფაქტობრივი ზემოქმედება;
- მიიღონ უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან პროექტის დიზაინისა და ზემოქმედების შერბილების თაობაზე;
- ყველა დაინტერესებული მხარეს შორის კონსტრუქციული ურთიერთობების შექმნა და შენარჩუნება.

4. ეფექტური გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, მონიტორინგი და ანგარიშგება

გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, მონიტორინგი და ანგარიშგება წარმოადგენს გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესის კრიტიკულ ნაწილს. გარემოს ზემოქმედების შეფასების ადმინისტრატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის ავტორი განავითარებს, დანერგავს, დაამონიტორინგებს და ანგარიშგებას მოამზადებს ეფექტური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა ეს არის პროექტის სპეციფიკის მიხედვით დანერგილი დოკუმენტი, რომელიც:

- აღწერს შერბილების ყველა შესაძლო ღონისძიებას, რომელიც იმპლემენტირებული უნდა იყოს ზემოქმედების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც გამოვლინდა გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცესში;
- ადგენს მიზნებს და ამოცანებს, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს შერბილების ღონისძიებების ეფექტური იმპლემენტაციის შედეგად;
- აღწერს ძირითად ცვლადებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის ზემოქმედებასთან და რომელზეც განსახორციელებელია მონიტორინგი;
- უზრუნველყოფს იმპლემენტაციისა და მონიტორინგის სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა განხორციელდეს პროექტის მიმდინარეობის სრული ციკლის განმავლობაში;
- უზრუნველყოფს რეგულარული ანგარიშების მომზადებას სამთავრობო მარეგულირებელ სტრუქტურებთან, სადაც აღწერილი უნდა იყოს ჩატარებული სამუშაო და გატარებული შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი ცვლადების მდგომარეობა და სტატუსი და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა;
- ასახავს ავარიებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურებს და მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას, თუ თავდაპირველი შემარბილებელი ღონისძიებები არ არის დაგეგმილი;
- განსაზღვრავს პროექტის ძირითადი პერსონალის როლს და პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის თითოეულ ეტაპზე.

##### 5. მონაცემთა მკაცრი შეგროვება, ანალიზი, პრეზენტაცია და შენახვა

მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და პრეზენტაცია ძალიან მნიშვნელოვანია გარემოს ზემოქმედების სანდო შეფასების პროცესისთვის. გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ფართობისა და ზემოქმედების სათანადო საბაზისო მონაცემები, რომელიც ეხმარება არსებული გარემოსდაცვითი პირობებისა და პოტენციური პროექტის ზემოქმედების გააზრებას. განვითარების ტიპისა და მასშტაბის მიხედვით, გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეიძლება მოიცავდეს ბიოფიზიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ცვლადებს და ეს შეიძლება იყოს რაოდენობრივი ან ხარისხობრივი. ხშირად პროექტის ინიციატორი აგროვებს მხოლოდ საკუთარ ადგილობრივ მონაცემებს, მაგრამ მათ ასევე უნდა ჰქონდეთ წვდომა სამთავრობო უწყებების ან რეგიონალური უნივერსიტეტების საბაზისო მონაცემთა ბაზასთან.

## ძირეული გამოწვევები

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, გარემოს რისკ-ფაქტორების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება;
- სათანადო ლაბორატორიული შესაძლებლობების, მეთოდოლოგიების, ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება;
- გარემოს ზემოქმედებასთან ასოცირებული დაავადებების ეპიდზედამხედველობა, კონტროლი, მონიტორინგი და ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებული ინდიკატორების შესაბამისად;
- ინფორმაცია მიწოდება საერთო საინფორმაციო სისტემისთვის;
- საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებსა და საცხოვრებელ გარემოში გარემოს ხარისხობრივი ნორმების შეფასება და მონიტორინგი
- შესაბამისი დაფინანსების მოძიება;
- უწყებათაშორისი კოორდინაცია.

## მომავლის ხედვა

მომავლის ხედვა ეფუძნება გარემოსა და ჯანმრთელობის მეექვსე მინისტერიალის კონფერენციის დეკლარაციას, რომელიც მოიცავს:

- ✓ დაცულ იქნეს ყოველი ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, გარემოს დაბინძურებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ნაადრევი სიკვდილიანობის, დაავადებების და უთანასწორობის აღკვეთის გზით;
- ✓ გათვალისწინებულ იქნეს მიუკერძოებლობა, სოციალური ინტეგრაცია და გენდერული თანასწორობა გარემოსა და ჯანმრთელობასთან მიმართებით წარმოებულ პოლიტიკაში, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოსისტემების სიკეთეებზე წვდომის ჩათვლით;
- ✓ მდგრადი წარმოებისა და მოხმარების შედეგად ჯანმრთელობისათვის მიღებული სარგებელის, შესაბამის ვადებში წიაღისეულიდან განახლებად ენერჯიაზე გადასვლის, სუფთა და უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების, ენერგოეფექტურ და დაბალი ემისიის მქონე ტრანსპორტზე გადასვლის პროპაგანდის განხორციელება და მობილობის ინტეგრირებისა ურბანულ და სივრცით დაგეგმარებაში.
- ✓ ისეთი საზოგადოების, ინფრასტრუქტურებისა და ჯანდაცვის სისტემების ჩამოყალიბება, რომლებიც მდგრადია და მოქნილად პასუხობს, პირველყოვლისა, კლიმატის ცვლილებას;

- ✓ ჯანმრთელობის დღის წესრიგის მხარდასაჭერად არსებული საერთაშორისო და ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებების შესრულება;
- ✓ ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეკრებისა და ანალიზის სათანადო მექანიზმების შემუშავება, შენარჩუნება და განვითარება;
- ✓ გარემოსა და ჯანმრთელობასთან მიმართებით არსებული და ახალი ტიპის რისკების ღია, გამჭვირვალე და ადექვატური კვლევის მხარდაჭერა, რომელზეც დაფუძნებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილებები და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

## სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები

- ✓ შენობებს შიგნითა და გარეთ არსებული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, როგორც რეგიონში გარემოსთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმთავრესი რისკ-ფაქტორის, განხორციელებული ქმედებებით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო მოთხოვნების მიღწევა და გაუმჯობესება უწყვეტი პროცესით;
- ✓ უსაფრთხო სასმელ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე საყოველთაო, თანაბარი და მდგრადი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის ყველგან, პარალელურად, ხელშეწყობა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვისა და საიმედოდ დამუშავებული ნარჩენი წყლების განმეორებით გამოყენების, საჭიროების შემთხვევაში;
- ✓ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ქიმიური ნივთიერებების მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა, საშიში ქიმიური ნივთიერებების ნაკლებად სახიფათო, მათ შორის არაქიმიური, ალტერნატივებით ჩანაცვლების გზით; საშიში ქიმიურ ნივთიერებების ზემოქმედების შემცირება მოწყვლად ჯგუფებში, განსაკუთრებით, ადამიანის განვითარების ადრეულ ეტაპებზე; რისკების შეფასებისათვის საჭირო შესაძლებლობების ზემოქმედებისა და გამონვეული დაავადებათა ტვირთის უკეთ გაცნობიერების მიზნით; და საჭიროების შემთხვევაში სიფრთხილის წინასწარი ზომების პრინციპის გამოყენება.
- ✓ პრევენცია და აღმოფხვრა: გარემოსა და ჯანმრთელობაზე ზემოქმედებით გამონვეული უარყოფითი შედეგების; ნარჩენების მართვის, დაბინძურებულ ადგილებთან დაკავშირებული ხარჯებისა და უთანასწორობის ნარჩენების უკანონო, არაკონტროლირებადი გზით გადაყრისა და გადატანის აღკვეთით; და ნარჩენებისა და დაბინძურებული ადგილების რაციონალურ მართვას წრიულ ეკონომიკაზე გადასვლით;

- √ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის რისკებზე ადაპტაციური შესაძლებლობების და მოქნილად რეაგირების შესაძლებლობის გაძლიერება, ღონისძიებების მხარდაჭერა კლიმატის ცვლილების შესარბილებლად და ჯანმრთელობის სასარგებლოდ, პარიზის შეთანხმების შესაბამისად;
- √ ეკოლოგიურად მდგრადი ჯანდაცვის სისტემების შექმნა და გარემოზე მათი ზემოქმედების შემცირება ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა ენერჯისა და რესურსების ეფექტური გამოყენება, სამედიცინო პროდუქციისა და ქიმიური ნივთიერებების რაციონალური მართვა მათთვის განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ეკოლოგიური დაბინძურების შემცირება ნარჩენებისა და ნარჩენი წყლების უსაფრთხო მართვით, ჯანდაცვის სამსახურების სანიტარიულ მისიაზე ზიანის მიყენების გარეშე.

## სტრატეგიული პრიორიტეტები

- √ მმართველობა და ხელმძღვანელობა - მმართველობისა და ხელმძღვანელობის, ინტერსექტორალური თანამშრომლობის გაძლიერება (სამთავრობო სტრუქტურები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროექტის მფლობელები);
- √ მტკიცებულებები - ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეკრებისა და ანალიზის სათანადო მექანიზმების შემუშავება, შენარჩუნება და განვითარება;
- √ კომუნიკაცია - სამეცნიერო მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის კომუნიკაციის, ადვოკატირებისა და სოციალური მობილიზაციის მეშვეობით;
- √ იმპლემენტაცია - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისთვის მზადება; მდგრადი ჯანდაცვის სისტემის აწყობა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავება;
- √ სტრატეგიული დაფინანსება და რესურსების მობილიზაცია - გარემოსდაცვითი ჯანდაცვის უზრუნველყოფა ადექვატური რესურსებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. World Health Organization, Western Pacific Region, Pacific Islands Action Plan on Climate Change and Health, 2018  
<http://iris.wpro.who.int/bitstream/handle/10665.1/14236/9789290618645-eng.pdf>;

2. “Health and Climate Change” COP24 Special Report, WHO, 2018  
(<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/276405/9789241514972-eng.pdf?ua=1>);
3. „Health and Environmental Impact Assessment: A briefing for Public Health Teams in England”, Public Health England, 2017;
4. Strengthening Environmental Impact Assessment, Guidelines for Pacific Island Countries and Territories, 2016  
(<https://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/9963/strengthening-env-impact-assessment.pdf?sequence=1&isAllowed=y>);
5. საქართველოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პრაქტიკაში განხორციელების სახელმძღვანელო.
6. „საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEHAP-2) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 დეკემბრის N680 დადგენილება;
7. “Health in Environmental Impact Assessment” – A Primer for a Proportionate Approach, IEMA, 2017,  
<https://www.iema.net/assets/newbuild/documents/IEMA%20Primer%20on%20Health%20in%20UK%20EIA%20Doc%20V11.pdf>